ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N267
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 20.11.2019 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"), მისი თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ალგი ჯგუფი", წარმოდგენილი მისი დირექტორის, გიორგი საყვარელიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ "საქართველოს კანონის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, მონეტარული ზღვრის დაცვით.**

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
2.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ სხვა მითითებას არ შეიცავს წინამდებარე ხელშეკრულება.
2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
2.5. „მიმწოდებელი" – პირი/ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი შემსყიდველს გადასცემს 1 (ერთი) კომპლექტ ელექტრო მექანიკურ შლაგბაუმს,რომელსაც მოყვება 5 (ხუთი) ცალი დისტანციური მართვის პულტი (CPV34928100).

შესყიდვის ობიექტის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები
ელექტრო მექანიკური შლაგბაუმი მოდელი-BENINCA EVA.5	1. ძრავის ტიპი: ელექტრომექანიკური; 2. ძრავის კვება: 100-250 Vac 50/60Hz 3. ძრავის სიმძლავრე 205 nm 4.ძრავის დენის მოხმარება 1.6A. 5.მუშაობის ციკლი: ინტენსიური მოხმარების 6.ძრავის დენის მიწოდება 24 ვოლტი. 7.სამუშაო ტემპერატურა -20˚C/+50˚C. 8.გახსნა/დახურვის დრო: 3.5 - 6 წამი. 9.ბარიერის ჯოხის სიგრძე 2,75 მ-დან 5 მ-მდე ღობურის სიგრძის რეგულირებით დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად. 10.დაცვის დონე IP44. 11. აღჭურვილია ენკოდერით,ინტეგრირებული ნათურით კორპუსზე და ჯოხზე.მართვის ბლოკში აქვს ინტეგრირებული რადიო მიმღები 433,92 MHZ და ბატარიის დამტენი.მექანიკური გახსნა/დახურვის შესაძლებლობა: ავტომატური დახურვის ფუნქცია.

3.2 თავის მხრივ, შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს საქონელი, თუ ის შეესაბამება მოთხოვნილს და გადაიხადოს მისი ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4,450.00 (ოთხი ათას ოთხას ორმოცდაათი) ლარს მიწოდებასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯისა და კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - **ნუკრი ბაკაშვილი.**

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - **ალექსი ლოლიშვილი.**

7. მიწოდების ვადა, ადგილი, გარანტია

7.1 შლაგბაუმის მიწოდება/მონტაჟის ვადა - ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს მიმდინარე წლის 04 დეკემბერი;
7.2 საქონლის მიწოდება/მონტაჟის ადგილი: ქ. ქუთაისი, ნიუპორტის N32 (ქუთაისის სააპელაციო სასამართლო). ელექტრომექანიკურო შლაგბაუმის მონტაჟის დროს ელექტრო სადენის გზის საფარის ქვეშ ჩადების (არაუმეტეს 10 მეტრისა) და გზის საფარის დაზიანების შემთხვევაში, მიმწოდებელმა საკუთარი სახსრებით უნდა უზრუნველყოს დაზიანებული გზის საფარის აღდგენა, ხოლო ელ. სადენის საჰაერო გაყვანის შემთხვევაში არაუმეტეს 25 მეტრისა.
7.3 შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა დამონტაჟებულ შლაგბაუმზე შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან - 4 (ოთხი) წელს. ქარხნული წუნის შემთხვევაში ,მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს მისი აღმოფხვრა შემსყიდველის მიერ შეტყობინებიდან 2 (ორი) სამუშო დღის ვადაში.
7.4 ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვა გავლენას არ ახდენს მომწოდებლის საგარანტიო ვალდებულებებზე.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში;
8.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;
8.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
8.4 მიმწოდებელი ვალდებულია წარადგინოს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია;
8.5. დაფინანსების წყარო: 2019 წლის **სახელმწიფო ბიუჯეტი**;

9. ხელშეკრულებაში ცვლილება

9.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რის შესახებაც წინასწარ წერილობითი ფორმით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს;
9.4. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;
10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;
10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
11.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება „შემსყიდველი"-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი;

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით.
12.2. სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების 5%-ის ოდენობით.
12.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02 %-ის ოდენობით.
12.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14.დამატებითი პირობები

14.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს
საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების
დეპარტამენტი
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ს/ნ 203860642

გიორგი კაკაურიძე
თავმჯდომარის მოადგილე

მიმწოდებელი:
შპს „ალგი ჯგუფი“
მის: ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ.320 ბ.5
ს/ნ 405121988
სს ტერა ბანკი
კოდი:TEBAGE22
ა/ა: GE03KS0000000360205025

გიორგი საყვარელიძე
დირექტორი

LEPL Common Courts Department under High Council of Justice
Digitally signed by LEPL Common Courts Department under High Council of Justice
Date: 2019.11.25 10:28:01 +04'00'

ALGI GROUP LTD
Digitally signed by ALGI GROUP LTD
Date: 2019.11.22 16:12:22 +04'00'